დასკვნა

ი/მ «ბაკურ კილაძე»-ის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2017 წლის 09 აგვისტოს გაფორმებული №150 ხელშეკრულების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ

ქ. წყალტუბო

04.09.2017

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსმა სპეციალისტმა ვასილ კიკალიშვილმა, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 01 სექტემბრის N6147 წერილი, რომელიც შეეხება ი/მ ,,ბაკურ კილაძე"-ის მიერ 2017 წლის 09 აგვისტოს N150 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისი თანხის ანაზღაურების.

ზემოთ აღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა შემდეგი:

2017 წლის 09 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილსა და ი/მ ,,ბაკურ კილაძე"-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №150 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ფოლკლორის ეროვნული კონკურსის ლაურიატის, „ოლიმპიური ვარსკვლავის" კავალერის, 2015-2016 წლების ეროვნული კონკურსის გამარჯვებულის დასავლეთ საქართველოს მაშტაბით სახალხო მთქმელის მარგო სხირტლაძე-სიმსივეს მცირე ზომის პოეტური კრებულის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 500 *(ხუთასი)* ლარს.

შეთანხმების საფუძველზე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2017 წლის 24 აგვისტოს ი/მ ,,ბაკურ კილაძე "-სა მიერ წარმოდგენილ იქნა №150 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ N7706 წერილი რომლის საფუძველზეც ითხოვს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურებას.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 თებერვალს №31 244 ბრძანებით შექმნილი ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი რიმა მარგიანი, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები ლია გიორგობიანი და მაია ჯანელიძე) ამავე ჯგუფსა და ი/მ ,, ბაკურ კილაძე"-ის შორის 2017 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, საერთო თანხით *500 (ხუთასი) ლარი.*

გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2017 წლის 23 აგვისტოს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე, ი/მ „ბაჯურ კილაძე“-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 18 თებერვლის №31 244 ბრძანებით შექმნილ ჯგუფს მორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები შესაბამისობაშია 2017 წლის 09 აგვისტოს №150 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) *ლარს.*

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

პირველი კატეგორიის

უმცროსი სპეციალისტი: ვასილ კიკალიშვილი

მიღება-ჩაბარების
აქტი

23 აგვისტო 2017 წელი

ქ. წყალტუბო

ერთი მხრივ, ი/მ „ბაკურ კილაძეს“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით და მეორეს მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირების - მეორე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის უფროსის მ/შ **ლია გუგუსანის**; მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის **მაია ჯანელიძის** და მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის **ლია გიორგობიანის** სახით, 2017 წლის 9 აგვისტოს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №150 ხელშეკრულების საფუძველზე, ვადგენთ მიღება - ჩაბარების აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ ჩაიბარა ფოლკლორის ეროვნული კონკურსის ლაურეატის, „ოლიმპიური ვარსკვლავის“ კავალერის, 2015-2016 წლების ეროვნული კონკურსის გამარჯვებულის დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, სახალხო მთქმელის მარგო სხირტლაძე სიმსივეს მცირე ზომის პოეტური კრებულის ბეჭდვის მომსახურეობა

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სახალხო მთქმელის მარგო სხირტლაძე სიმსივეს მცირე ზომის პოეტური კრებულის ბეჭდვის მომსახურეობა	150	3,333	499,95
				ჯამი: 499,95 ლარი

ღირებულებით 499,95 (ოთხასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და 95 თეთრი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა ი/მ „ბაკურ კილაძე“-ს , ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ჩააბარა
ი/მ „ბაკურ კილაძე“

ბაკურ კილაძე

ჯგუფის უფროსი:

წევრი:

ჩაიბარა

ლია გუგუსანი

მაია ჯანელიძე

მდივანი:

ლია გიორგობიანი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე

კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის

საქმეთა სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი

ქ. წყალტუბო 23.08.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ჯგუფის უფროსი, **მეორე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის **მეორადი** სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელი- კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საშსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი **ლია გუგუსიანი, მესამე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია ჯანელიძე, მესამე რანგის,** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ლია გიორგობიანი - ჯგუფის მდივანი.**

დღის წესრიგი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ი/მ ბაკურ კილაძეს შორის 2017 წლის 08 აგვისტოს №150 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღების შესახებ.

მოისმინეს: მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების **მეორე** კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია ჯანელიძის** ინფორმაცია, ი/მ ბაკურ კილაძის მიერ 2017 წლის 08 აგვისტოს №150 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესახებ, კერძოდ: სახალხო მთქმელის მარგო სხირტლაძე- სიმსივეს მცირე ზომის პოეტური კრებულის ბეჭდვის შესახებ, მომსახურეობის საერთო თანხამ შეადგინა 500 (ხუთასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: ლია გუგუსიანმა.

დაადგინეს: მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული № 150 ხელშეკრულების ფარგლებში, ი/მ ბაკურ კილაძის მიერ განხორციელებული მომსახურეობის მიღება და შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის შედგენა.

მომხრე -3, წინააღმდეგი-0.

ჯგუფის უფროსი: ლია გუგუსიანი

ჯგუფის წევრები:

მაია ჯანელიძე

სხდომის მდივანი: ლია გიორგობიანი